ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2018 წლის 26 იანვარი

ქ. ტყიბული

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 დეკემბრის №37 დადგენილებაში (www. Matsne.gov.ge, 12.12.2017 წ, 010250050.35.125.016258) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს დადგენილების მე-4 მუხლი.

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულია:

შიდა აუდიტის განყოფილება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნატალია კობახიძე**